საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/23

ქ. ბათუმი 16 ივნისი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 22-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 ივნისის N70/ნ ბრძანების და ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის N01-08/51 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს არჩევნები საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი; აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი; ფიტოფატოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი) აკადემიური საბჭოში ერთი წარმომადგენელის (აკადემიური საბჭოს წევრის) არჩევის მიზნით.
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრების **არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 4 ივლისს** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამუშაო ოთახში (კენჭისყრა დაიწყოს 15:00 საათზე და დამთავრდეს 17:00 საათზე).
3. აკადემიურ საბჭოს წევრად თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ აირჩევა ამავე ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.
4. **კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს** ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N4) **2016 წლის 17 ივნისიდან – 2016 წლის 27 ივნისის ჩათვლით,** უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.
5. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

6. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**